# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური  წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34


## საკრებულოს თავმჯდომარის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №92

24 მარტი 2014 წ.

**კურორტ ბახმაროში, მშენებლობის ქუჩაზე N130 სააგარაკო საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 16- მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების და გამგეობის დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე დავით გულიშვილის განცხადება (N17 31.01.2014წ.), შეთანხმებული იქნას წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და გაიცეს კურორტ ბახმაროში, მშენებლობის ქუჩაზე N130 არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია N28.24.22.255 სააგარაკო საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვროს წარმოდგენილი მშენებლობის კალენდარული გრაფიკის შესაბამისად ერთი წლის ვადით.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე–ჭავჭავაძის ქ.N4.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

*ანტონ ხუნდაძე*

*ვიზირებულია,*

*იურისტი* *ედიშერ ჯიბუტი*